

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

1. პროგრამის სახელწოდება: „საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი“
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 12 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 20 მაქსიმალური - 40
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: სატვირთო გადაზიდვების სფეროსათვის მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციების მქონე მსმენელი საწყობში ლოგისტიკური ოპერაციების ჩატარებისა და საბაჟო, სასაწყობო და სატრანსპორტო პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის წარმოების მიმართულებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- თანამედროვე ლოგისტიკის მიდგომებისა და პრინციპების გამოყენება დასაწყობების ოპერაციების ჩატარების პროცესში;
- პროდუქციის თვისებების მიხედვით სატრანსპორტო და სასაწყობო სატვირთო ერთეულების ფორმირების ხერხების განსაზღვრა - შეფუთვის, ტარაში განთავსებისა და მარკირების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ტვირთების სახეობისა და მიწოდების დადგენილი ვადების მიხედვით საბაჟო პროცედურების ჩატარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;
- ტვირთების გადაზიდვის სახეობისა და მიწოდების პირობების მიხედვით სატრანსპორტო საშუალებების ტიპების შერჩევა და მათი ექსპლუატაციის პირობების განსაზღვრა;
- დასაწყობების ლოგისტიკური ოპერაციების ჩატარების პროცესში შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვა, სათანადო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვით და განხორციელებით;
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით ტვირთის საწყობში მიღების ოპერაციების ჩატარება და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება;
- სათავსოებში ტვირთების დასაწყობების ოპერაციების ჩატარება, მათი შენახვისათვის განსაზღვრული პირობების დაცვით;
- შეკვეთების/დავალბების შესრულების გეგმა-გრაფიკის მიხედვით საწყობიდან ტვირთის გაცემისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და ტვირთების სატრანსპორტო საშუალებებზე განთავსება-დაფიქსირება უსაფრთხოების წესების დაცვით;
- საბაჟო, სასაწყობო და სატრანსპორტო პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება დადგენილი წესების დაცვით;
- საწყობში ჩატარებული სამუშაოების შედეგების შესახებ მონაცემების შეტანა სააღრიცხვო ჟურნალებში/ელექტრონულ პროგრამაში;
- საწყობში ტვირთების სახეობისა და შენახვის ვადების მიხედვით მომსახურების საფასურის გაანგარიშება და მონაცემების წარმოდგენა დადგენილი ფორმით.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა. (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 04113-კ)

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ფლობენ სრულ ზოგად განათლებას. პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. რომელიც მოიცავს 144 საკონტოქტანკო საათს, კვირეული დატვირთვა 12 სთ. კვირაში.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან A და B ინტეგრირებულ სასწავლო გარემოში. სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს: ლექციას (თეორიული მასალის ახსნა სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენებით); დისკუსიას; პრაქტიკულ სამუშაოს (სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული დავალებების /სავარჯიშოების განსაზღვრა და შესრულება)

განმავითარებელი შეფასებები მსმენელთან ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნება შეფასების მეთოდი/ები - ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სწავლის მე - 6 კვირის დასაწყისში და მე - 12 კვირის ბოლოს, შეფასების მიმართულება - გამოკითხვა, პროცესზე დაკვირვება. შეფასების ინსტრუმენტი - ტესტი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე (კომპეტენციების დადასტურებაზე) დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი 2 ტიპის შეფასებას:

- 1) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- 2) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.

მომზადების პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენცია ხელს შეუწყობს მსმენელს დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში: სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმებში, მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუციო ფირმებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში, საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელის საწყობებში.

პროგრამის სწავლება შეიძლება განხორციელდეს ნაწილობრივ დისტანციურად

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თ ე მ ა ტ ი კ ა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> ლოგისტიკის ტერმინის არსი; ლოგისტიკის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები; ლოგისტიკის ძირითადი პრინციპები; ლოგისტიკის თანამედროვე მიმართულებები; სატრანსპორტო ლოგისტიკის მნიშვნელობა და ამოცანები. ტვირთის კლასიფიცირება: მძიმე ტვირთი, მალფუჭებადი ტვირთი, საშიში ტვირთი, ცოცხალი ცხოველები, არაგაბარიტული ტვირთი; მათი დატვირთვის და დამაგრების ხერხები; 	1.1; 1.2	12	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B
2	<ul style="list-style-type: none"> შეფუთვის სახეები: ქვეში, ყუთი, ტომარა, ნაყარი, ცისტერნა, კასრი; ტვირთის დაყოფა პარტიებად (რომელი ტვირთი რა ტრანსპორტით უნდა გადაიზიდოს და მათი თავსებადობა ერთმანეთთან) ზოგადი საბაჟო პროცედურები; ზოგადი დეკლარირების პრინციპები; საბაჟო დოკუმენტები: აღრიცხვის მოწმობა, საბაჟო დეკლარაცია; 	1.2; 1.3	12	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B
3	<ul style="list-style-type: none"> საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები; იდენტიფიკაციის საშუალების ტიპები: წებვადი, ბაგირიანი, პლასტმასის, ქარხნული და მათი დადების წესები; იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნის დრო; მიტანის ვადები; გამოცხადების დადასტურება. 	1.3	12	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B

4	<ul style="list-style-type: none"> გადაზიდვებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია; გადაზიდვის სახეობები: მულტიმოდალური, უნიმოდალური, საკონტეინერო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო; გადაზიდვის ოპტიმალური სახეობის შერჩევა; სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შედარებითი ანალიზი; სატრანსპორტო საშუალების შერჩევაზე მოქმედი ფაქტორები; საშუაშაველი ფორმები, მათი დანიშნულება. 	1.4	12	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B
5	<ul style="list-style-type: none"> ინკოტერმსი 2010-ის ჯგუფები და პირობების განმარტებები; ტვირთის და გადაზიდვის დაზღვევა; მყიდველის რისკი და ხარჯი; გამყიდველის რისკი და ხარჯი; საზღვაო პირობები; პირობები, რომლებიც შეიცავს დაზღვევას. შრომის უსაფრთხოების ნორმები; უსაფრთხო სამუშაო გარემო; „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ; საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე და ქვეყნის საზღვრებზე სანიტარიულ - საკარანტინო კონტროლის განხორციელების“ შესახებ; საერთაშორისო კონვენციები; გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგულაციები; სატრანსპორტო საშუალების ოპერატორის უსაფრთხოების ნორმები; საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ; სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ნორმები; ტექნიკური დათვალიერების აქტი; უსაფრთხოების და ეკოლოგიის სერტიფიკატი; პროფესიული ეტიკა. 	1.5; 1.6	12	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B
	განმსაზღვრელი შეფასება	1.1; 1.2; 1.3 1.4; 1.5; 1.6	6	-	ტესტი	-
6	<ul style="list-style-type: none"> საწყობის ტიპები: საბაჟო საწყობი, მაცივარ საწყობი, ტერმინალი, ნაყარი ტვირთების საწყობი; სააღრიცხვო ჟურნალში ჩანაწერების წარმოების წესები; საწყობის ტექნოლოგიური სქემა; იდენტიფიკაციის საშუალებების ტიპები; 	2.1	6	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა	A, B
7	<ul style="list-style-type: none"> მკაცრი აღრიცხვის ფორმების, ბეჭდების, შტამპების, ელექტრონულ პროგრამებში დაშვების პაროლების, ინფორმაციის დაცულობის ვალდებულება და შესაძლო პასუხისმგებლობა; 	2.1; 2.2	12	ინტერაქტიული ლექცია	განმავითარებელი შეფასება:	A, B

	<ul style="list-style-type: none"> • სასაწყობე მანქანა-დანადგარები (მათ შორის დაცლა-დატვირთვის საშუალებები), მოწყობილობები და ინვენტარი, მათი დანიშნულება და ექსპლუატაციის წესები; • ინვენტარის/ტექნიკის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები; • სპეციალური საცავის ტიპები: (ხელოვნური გაგრილების საცავი, წამლების შესანახი საცავი) • ტვირთის სახეობები; • სახიფათო ტვირთების შენახვის წესი; • ძვირფასი ნივთების შენახვის წესი; • მალფუჭებადი ტვირთის შენახვის წესი; • ტვირთის მარკირების წესები; • პროდუქტის დახარისხების წესები; • პროდუქტის ტიპები; • პროდუქტის გაშრობის წესები; • ტარისა და შეფუთვის სახეები და მახასიათებლები; • პროდუქტის შენახვის რეჟიმები; • ტარის სახეობები; • ტარის ზომები; 				<p>ზეპირი გამოკითხვა</p>	
<p>8</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროდუქციის ტარაში განთავსების წესები; • დაცლა-დატვირთვის საშუალებები; • სათავსოში ტვირთის განლაგების წესები; • პროდუქციის საწყობში რაციონალურად განთავსების წესები; • საცავში ხილისა და ბოსტნეულის შენახვის წესები; • საცავში ხორცპროდუქტების შენახვის წესები; • საცავში თევზის შენახვის წესები; • საცავში მედიკამენტების შენახვის წესები; • ტენიანობის განსაზღვრის წესები; • ტემპერატურის მარეგულირებელი მოწყობილობის გამოყენების წესები; • გადასადგილებელი / გასაცემი ტვირთის დატვირთვისა და დაფიქსირების წესები; • დაცლა-დატვირთვის საშუალებები; • საშუალებაში რაციონალურად განთავსების წესები; • ლუქის დადების ზოგადი წესი; • ლუქის ტიპები; • დალუქვის შესახებ აქტის შედგენის წესი; ლუქის აღრიცხვის წესი; • გახარჯული ლუქების ჩამოწერის წესი; • იდენტიფიცირების წესები და მასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები; • ელექტრონული აღრიცხვის პროგრამების მოხმარების წესები; 	<p>2.2 ; 2.3</p>	<p>12</p>	<p>ინტერაქტიული ლექცია</p>	<p>განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა</p>	<p>A, B</p>

9	<ul style="list-style-type: none"> • საადრიცხვო ჟურნალის შენახვა/წარმოების წესი; • საშვის გამოწერა; • ნაშთების კონტროლის ზოგადი წესი; • ტვირთის დაზიანების ტიპები; • დაზიანებაზე რეაგირების პროცედურები; • დაზიანების აქტის შედგენის წესი; • ტვირთის შენახვის ვადები გადაზიდვის სახეობის მიხედვით; • საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე / მოქცეული ტვირთის შენახვის ვადები; • საწყობის ტარიფები; • ანგარიშსწორების შემოწმების ზოგადი წესები; • ტვირთის დასაწყობების ღირებულების გამოთვლის წესები საწყობის ტარიფების მიხედვით. • თანმხლები სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება/წარმოება; • თანმხლები საჭირო დოკუმენტაცია; 	2.3; 2.4	12	ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, B
10	<ul style="list-style-type: none"> • დოკუმენტების შენახვა დავადები; • მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა; • საბაჟო წარმომადგენლის ფუნქციები, მოვალეობები და პასუხის მგებლობება; • დეკლარირების მიზნებისათვის გამოყენებული დოკუმენტაციის სახეები და მათი შინაარსი; • დასაწყობების დოკუმენტაციის ტიპები და სახეები; • დასაწყობების დოკუმენტების შევსება; 	2.4	12	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, B
11	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამის ელექტრონულ სისტემებთან მუშაობა; • ანგარიშის შედგენა; • საბაჟო დეკლარაციის სახეები; • საბაჟო დეკლარაციის გამოყენების შემთხვევები; • საბაჟო დეკლარაციის შევსების წესები; • მონაცემთა სისტემაში მუშაობა; • დეკლარირების მოდულთან მუშაობა; 	2.4	12	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, B
12	<ul style="list-style-type: none"> • დეკლარაციის შევსებისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი; • დეკლარაციის დარეგისტრირების წესები; • დეკლარაციის რეგისტრაციის პროცედურები. 	2.4	6	პრაქტიკული მეცადინეობა	განმავითარებელი შეფასება: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, B
	განმსაზღვრელი შეფასება	2.1 ; 2.2 2.3; 2.4	6	-	ტესტი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	

3. პროგრამის თავისებობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამა: სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
1. ლოგისტიკის საფუძვლები - 0411313	<ul style="list-style-type: none"> 1.1. ლოგისტიკის არსისა და მნიშვნელობის განმარტება; 1.2. ტვირთის კლასიფიცირება; 1.3. ძირითადი საბაჟო პროცედურების დახასიათება; 1.4. გადაზიდვის სახეობის აღწერა; 1.5. მიწოდების პირობების აღწერა; 1.6. შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების განმარტება
2. საწყობის ლოგისტიკა - 0411318	<ul style="list-style-type: none"> 2.1. ტვირთის მიღება საწყობში; 2.2. ტვირთის შენახვა სათავსში; 2.3. ტვირთის გაცემა საწყობიდან; 2.4. სასაწყობო დოკუმენტაციის წარმოება

დანართი N 1

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

სასწავლებლის დასახელება : ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომზადების პროგრამის სახელწოდება: „საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი“

№	პერსონალის სახელი გვარი	კვალიფიკაცია / სამუშაო გამოცდილება
1.	დავით კვიციანი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ტრანსპორტის დარგში, პროფესიულ პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ ხელმძღვანელი და სხვადასხვა მოდულის სწავლების 3 წლიანი გამოცდილება
2.	ლამა ჩაკვეტაძე	ბიზნესის მართვის მაგისტრი, საბაჟო სფეროში (უფროსი მენეჯერი - ოფიცერი) მუშაობის 10 წლის გამოცდილება

დანართი N 2

პროფესიული მომზადების პროგრამა - „საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი“

სასწავლო რესურსი

N	1. სასწავლო ლიტერატურა
1.	„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
2.	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ
3.	საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე და ქვეყნის საზღვრებზე სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების“ შესახებ
4.	საერთაშორისო კონვენციები: TIR-კონვენცია, CMR- კონვენცია
5.	<ul style="list-style-type: none"> კონვენცია ტვირთის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება 02/11/1999. სარეგისტრაციო კოდი 43000300000000309 ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმება საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ ევროპა-კავკასია-აზია დერეფნის განვითარებისათვის. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება 08.09.1999. სარეგისტრაციო კოდი 4300000000(3)00000309
6.	საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ
7.	ინკოტერმს 2010
8.	საქართველოს საგადასახადო კოდექსი
9.	სატრანსპორტო ლოგისტიკის საფუძვლები. ლ.ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი. „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2007წ. გვ. 482;

10.	მურთაზ სვანაძე, გელა ლოსაბერიძე, დავით კბილაშვილი. ლოგისტიკა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ.-გვ. 319;
11.	ლოჯისტიკა - შოთა ვეშაპიძე, ლალი ოსაძე, დალი სეხნიაშვილი. თბილისი 2012 წელი;
12.	საქართველოს მთავრობის დადგენილება №471 „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“
13.	საქართველოს საგადასახადო კოდექსი
14.	საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №290 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“
15.	შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №12858 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასა და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“
16.	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „პროდუქტის შენახვა სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობებში“
17.	საქართველოს შრომის კოდექსი
18.	საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ
19.	დავით კბილაშვილი ლექციების კონსპექტი საგანში „საწყობის ლოგისტიკა“. ქუთაისი, აწსუ, 2017 წ. -გვ.110.

N	2. ინტერნეტ რესურსი
1.	www.matsne.gov.ge
2.	www.rs.ge

	3. აუდიო/ვიდეო მასალა
1.	

N	4. თვალსაჩინოება
1.	https://www.weberlogistics.com/videos-services-locations
2.	https://www.weberlogistics.com/videos-services-locations
3.	https://www.weberlogistics.com/videos-services-locations
4.	https://www.weberlogistics.com/videos-services-locations
5.	https://vimeo.com/77374017
6.	https://vimeo.com/77374014
7.	Rail sector: https://vimeo.com/77374009
8.	https://vimeo.com/76582302
9.	სლაიდები, პლაკატები

დანართი N 3

პროფესიული მომზადების პროგრამა „საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი“
ლოკაცია და აღჭურვილობა

ქ. ქუთაისი, ნიკვას მე-2 შესახვევი N 8, აუდიტორია № 211

№	დასახელება	რაოდენობა	საზომი ერთეული	პროფესიულსტუდენტზე/სასწავლო გარემოზე
აღჭურვილობა				
1.	პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	20	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
2.	პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
3.	კომპიუტერი	1	კომპლექტი	სასწავლო გარემოზე
4.	კომპიუტერი	20	კომპლექტი	პროფესიულ სტუდენტზე
5.	დაფა	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
6.	პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
7.	პრინტერი (კომბაინი)	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
8.	ფლემ-მეხსიერება	1	ცალი	სასწავლო გარემოზე
ნედლეული ნასალები				
	საშლელი	1	ცალი	ჯგუფზე
	მარკერი	1	შეკვრა	ჯგუფზე
	ქაღალდი A4	2	შეკვრა	ჯგუფზე